ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №915515

ნომერი: AR1158682

თარიღი : 03.09.2013

გაცემის თარიღი : 27.09.2013

გაცნობის თარიღი : 29.09.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღომი-გლდანის შემაერთებელი გზა ავტოგასამართ სადგურ "ვაგი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯიმშერ მჭედლიშვილი პ/ნ 01022007884
- თბილისი თემქა XI მ/რ II კვ. კორ. 38 ბ. 71

ნომენკლატურა :

- ავტოსერვისი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოტექმომსახურების ობიექტი და სავაჭრო ობიექტი.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ქეთევან ჩხიკვაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს."უნივერსალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200058515
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯიმშერ მჭედლიშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022007884

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 460.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 236.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 441.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 213.5
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 221.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 6.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1745.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1745.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 236.5 კ1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 473 კ2=1.0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 224.0 კ3=0.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან საპროექტო ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობის იერსახეს, მოგახსენებთ, რომ სამსახურის პოზიციით წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ვიზუალი მიუღებელია და საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა-დამუშავებას - განსაკუთრებით ღობის ნაწილში (მიუღებელია ყრუ ბეტონის ღობის მოწყობა, უმჯობესია მოეწყოს დეკორატიული სახის ღობე). სამსახურის რეკომენდაციით, უმჯობესია პირველ რიგში შეათანხმოთ ესკიზი;

1. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: 7-1 ფასადს არ შეესაბამება გეგმა 0.00 ნიშნულზე;

2. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : აღნიშნულ ველში საჭიროა ატვირთოთ შესწორებული არქიტექტურული ნაწილის ვექტორული ფაილი;

3. წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : აღნიშნული დოკუმენტი საჭიროა ატვირთოთ დამატებით ველში, ხოლო აღნიშნული გარფა დატოვეთ ცარიელი;

4. აქვე გაცნობებთ, რომ თუ უკვე ნაწარმოებია კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების 63–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად ,,თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის

ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.